

განმარტებითი ბარათი
საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე
„საქართველოს საარჩევნო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის
თაობაზე“

წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანია საქართველოს პარლამენტის ფორმირების წესის საქართველოს კონსტიტუციასთან (კონსტიტუციურ ცვლილებებთან) შესაბამისობაში მოყვანა და საარჩევნო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა საარჩევნო სისტემის დახვეწა და რიგი ახალი ინსტიტუტების შემოღება.

2005 წლის 23 თებერვლის კონსტიტუციური შესწორების თანახმად, განისაზღვრა საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დაკომპლექტების ახალი წესი. კერძოდ, კონსტიტუციის თანახმად პარლამენტის 100 წევრი აირჩევა პროპორციული საარჩევნო სისტემით, ხოლო 50 მაჟორიტარული სისტემით. შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის წევრთა რაოდენობის ოპტიმიზაციის შესახებ მიღებული კონსტიტუციური გადაწყვეტილება დღის წესრიგში აყენებს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე პარლამენტის წევრების არჩევის ახალი პრინციპების შემოღებას.

წარმოდგენილი მოდელის მიხედვით, ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების ნაცვლად შეიქმნება მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქები. თითოეული საარჩევნო ოლქი გაერთიანებს საქართველოს რამოდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულს. შესაბამისად, დგინდება პარლამენტის წევრების ის ქვოტა, რომლებიც აირჩევიან საარჩევნო ოლქებიდან. ოლქის რაოდენობა განისაზღვრება მისი მოქმედების არეალში მოსახლეობის რაოდენობისა და ტერიტორიის გათვალისწინებით. აღნიშნული კრიტერიუმების საფუძველზე განხორციელდება 14 საარჩევნო ოლქის შექმნა.

გათვალისწინებულია მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის რეფორმა. ახალი სისტემის პრინციპი მდგომარეობს შემდეგში: უქმდება ამომრჩეველთა საინიციატიუო ჯგუფის მიერ პარლამენტის წევრობის კანდიდატის წარდგენის უფლებამოსილება. მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში კანდიდატების წარდგენა განხორციელდება მხოლოდ პოლიტიკური სუბიექტების – პოლიტიკური პარტიების, ან საარჩევნო ბლოკის მიერ. კერძოდ, პროექტის მიხედვით, თითოეული საარჩევნო სუბიექტი ვალდებული იქნება საარჩევნო ოლქში წარადგინოს მაჟორიტარი კანდიდატების ის რაოდენობა, რომელიც ორჯერ აღემატება საარჩევნო ოლქზე განაწილებული მანდატების რაოდენობას. აღნიშნული სიის პირველ ნახევარში შემავალი ყველა კანდიდატი წარმოადგენს საერთო არჩევნების შედეგად პარლამენტში ასარჩევ კანდიდატებს, კანდიდატთა სიის მიერ არჩევნებში საკმარისი ხმების მოპოვების შემთხვევაში, ხოლო მეორე ნახევარი წარმოადგენს ხარეზერვო სიას და ამ სიაში შემავალი კანდიდატები მანდატებს მიიღებენ მხოლოდ სიის პირველი ნახევრიდან არჩეული პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში. ამომრჩეველი ხმას მისცემს არა ცალკეულ კანდიდატს, არამედ საარჩევნო

სუბიექტების მიერ წარმოდგენილ კანდიდატთა ჯგუფს. მიუხედავად ამისა, ამომრჩეველს ექნება მხოლოდ ერთი ხმა.

შესაბამისად, წარმოდგენილი კანონპროექტით უქმდება შუალედური არჩევნების ინსტიტუტი. კანონპროექტით გათვალისწინებულია ის მექანიზმები, რომლითაც განხორციელდება საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლეობა. გამოკლებული პარლამენტის წევრის ადგილმონაცვლეობა მოხდება სარეზერვო მაჟორიტარული სიის საფუძველზე, რიგითობის პრინციპის დაცვით.

კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული დამატებითი ხარჯების გაღებასთან. პირიქით, საქართველოს პარლამენტის წევრთა რაოდენობის ოპტიმიზაციითა და შუალედური არჩევნების ინსტიტუტის გაუქმებით, საჭირო აღარ იქნება ამ მიზნით გათვალისწინებული დაფინანსება, რითაც მიღწეული იქნება სახელმწიფო ხარჯების არსებითი ეკონომია.

წარმოდგენილი კანონპროექტის ავტორია -----

კანონპროექტის ინიციატორია -----